ფოთის სითითონი

„ფოთი - „ქალაქი ზღვას, მდინარეებსა და ტბებს შორის“

კონცეფცია

სითითონი ინოვაციური კონცეფციაა, რომელიც ეფუძნება ჰაკათონის, იდეათონისა და დატათონის წარმატებულ კონცეფციებს. სითითონი საშუალებას აძლევს სხვადასხვა პროფესიული გამოცდილებისა და განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებს იმუშაონ ერთობლივად - მულტიდისციპლინურ გუნდებში პრაქტიკული გამოსავლების განსასაზღვრად და ამ პროცესში უნარებისა და შესაძლებლობების კონსოლიდირების მიზნით. სითითონი, როგორც ინსტრუმენტი, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ახალი იდეების თავმოყრაზე. „არაორდინალური აზროვნება“ სითითონის ძირითადი ელემენტია, რომელიც ახალ პერსპექტივებს სძენს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

ამგვარად, სითითონის უმთავრესი მიზანია ქალაქის, მისი მცხოვრებლებისა და ადგილობრივი ბიზნესის წინაშე მდგარი რეალური გამოწვევების შესაძლებლობად გარდაქმნაში მდგომარეობს. ამ შესაძლებლობებში იგულისხმება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა, ასევე, ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ბიზნესმოდელების განსაზღვრა და მხარდაჭერა. სითითონის ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელია გამოსავლების გენერირება დროის ხანმოკლე პერიოდში, რაც ასევე აძლევს საშუალებას მონაწილეებს წარმოაჩინონ საკუთარი ნიჭი, შემოქმედებითი უნარები იმ პრაქტიკული გამოსავლების მიგნების პროცესში, რომლებითაც მთლიანად საზოგადოება ისარგებლებს.

სითითონის იდეა ადგილობრივი ორგანიზაციებისგან მომდინარეობს. ქალაქის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს დამხმარე ორგანიზაციებთან.

სითითონის მიზნები:

ზოგადი მიზანი:

სითითონის ზოგადი მიზანია წარმოაჩინოს ფოთი, როგორც მაღალი, ე.წ. „ლურჯი“ განვითარების პოტენციალის მქონე ქალაქი, რომელიც გაზრდის კონკურენტუნარიანობას მეწარმეობის მიმართ მდგრადი განვითარების მიდგომის გამოყენებით. ქალაქი წარმოადგენს მიმზიდველ ადგილს ამ სექტორებით დაინტერესებული ინვესტორებისთვის და აუმჯობესებს მის კავშირს შავი ზღვის სხვა საპორტო ქალაქებთან.

კონკრეტული მიზნები:

- ინვესტირებისთვის ლურჯი ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა (მათ შორის ტურიზმისა და ლოგისტიკის სექტორებში) ფოთში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და ამ პროცესის პარალელურად მეწარმეობისა და ინოვაციების წახალისება ურბანული პრობლემების გადაჭრისთვის.
- ფოთის ეკონომიკურ გარემოსთან შესაბამისი ინოვაციური და ქმედუნარიანი ბიზნეს-იდეებისა და მოდელების მოკვლევის პროცესის ფასილიტაცია.
- ურბანულ პრობლემებზე ინოვაციური და კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გამოსავლების გენერირება, რაც ხელს შეუწყობს ფოთის ეკონომიკურ ზრდას.

სითითონის თემაა

სითითონის თემაა ***„ფოთი - ქალაქი ზღვას, მდინარეებსა და ტბებს შორის“***

სითითონის ზოგად და კონკრეტულ მიზნებზე დაყრდნობით, ის ფოკუსირებულია:

> *„ინვესტირების შესაძლებლობების, ქმედუნარიანი ბიზნეს იდეებისა და მოდელების განსაზღვრაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ურბანული პრობლემების ინოვაციური გადაჭრის გზებისა და პროტოტიპების გამოვლენას ქალაქში, რომელიც ზღვას, მდინარეებისა და ტბებს შორის მდებარეობს“.*

ზოგადად, სითითონის თემა ასახავს ეკონომიკური განვითარებისადმი ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც აბალანსებს ადგილობრივი თემის საჭიროებებს ბაზრის მოთხოვნებთან და აგრეთვე, მიზნად ისახავს ზრდის მდგრადი, ხანგრძლივვადიანი შესაძლებლობების შექმნას ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარისათვის.

ფოკუსს რაც შეეხება, შერჩეული თემა ეხმიანება „ლურჯი ეკონომიკის“ ჩარჩოს, რომელიც მდგრად მწვანე ეკონომიკურ განვითარებას აკავშირებს ფოთისთვის მნიშვნელოვან სექტორებთან.[1] ფოთის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურიზმისა და ლოგისტიკის სექტორებს, რომლებიც, თავის მხრივ უკავშირდება ისეთ ქვესექტორებს, როგორიცაა საზღვაო ტრანსპორტი და თევზის მრეწველობა და ასევე, მდგრადი განვითარების ასპექტებს, მაგალითად, განახლებად ენერგიას, ენერგოეფექტურობას და ა.შ.

---

[1] *ლურჯი ეკონომიკა მრავალფეროვანი კომპონენტებისგან შესდგება, მათ შორისაა ტრადიციული ოკეანური საქმიანობები, როგორიცაა, მაგალითად, თევზის მრეწველობა, ტურიზმი და საზღვაო ტრანსპორტირება, თუმცა ამას გარდა კონცეფცია ისეთ ახალ მიმართულებებსაც გულისხმობს, როგორიცაა, მაგალითად, ოფშორული განახლებადი ენერგია, სოფლის მეურნეობა, წყალქვეშა მოპოვებითი ინდუსტრია, საზღვაო ბიოტექნოლოგიების განვითარება და ა.შ.*

სითითონისთვის განსაზღვრული გამოწვევები:

სითითონის განხორციელებისთვის შეირჩა სამი თემატური გამოწვევა.

მონაწილეები იდეების გენერირების პროცესში იმუშავებენ შემდეგ სამ გამოწვევაზე:

გამოწვევა 1: იმ ინვესტორების გამოვლენა და მოზიდვა, რომლებიც წვლილს შეიტანენ ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით ტურიზმსა და ლოგისტიკის სექტორებში;

გამოწვევის მიზანია გამოავლინოს **ინვესტირების პოტენციური შესაძლებლობები** ამ სექტორებში და დაარწმუნოს ინვესტორები, რომ ფოთი წარმოადგენს ხელსაყრელ ადგილს მათი ინვესტიციების განსახორციელებლად.

გამოწვევა 2: ქალაქში არსებული ურბანული პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გადაწყვეტილებების და ინიციატივების წახალისება;

ეს გამოწვევა გულისხმობს **ქალაქში არსებული ძირითადი ურბანული პრობლემების განსაზღვრას** და მათ მოსაგვარებლად **ინოვაციური გამოსავლების** მოძიებას. აღსანიშნავია, რომ ეს გამოსავლები უნდა იყოს პრაქტიკული ეკონომიკური თვალსაზრისით და მათი რეალიზება შესაძლებელი უნდა იყოს კერძო და საჯარო სექტორების, ასევე, მხარდამჭერი ორგანიზაციების, ან სოციალური და კერძო საწარმოებისა და ბიზნესკომპანიების მიერ. გამოსავლები შესაძლოა ეხებოდეს ტურიზმის სექტორს, მაგრამ ასევე, უნდა აკავშირებდეს ლოგისტიკურ გამოწვევებს ტურიზმის სექტორში არსებულ გამოწვევებთან.

გამოწვევა 3: კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გადაწყვეტილების ინოვაციური ბიზნეს-მოდელების და პროტოტიპების გენერირება ფოთის ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად.

ხსენებული გამოწვევა გულისხმობს ფოთში **ახალი ბიზნესმოდელებისა და ინოვაციების განვითარებისთვის შესაბამისი სფეროების გამოკვეთას,** მონაწილეების მიერ პრობლემებზე უახლესი გამოსავლების ან ბიზნეს იდეების შემუშავებას, რომლებსაც ექნებათ კომერციალიზაციისა და ფოთში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის პოტენციალი.

თარიღი

სითითონი დაგეგმილია 2023 წლის 13 და 14 მაისს.

სითითონის ჩატარებამდე გაიმართება საინფორმაციო ღონისძიებები.

მონაწილეები

სითითონის საორგანიზაციო გუნდი დაინტერესებულია შემოქმედებით და პროფესიონალ ადამიანებთან თანამშრომლობით, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი მოტივაცია, მიაგნონ ქალაქში არსებულ პრობლემებზე ეკონომიკური ხასიათის გამოსავლებს. შესაბამისად, გუნდი

ღიაა ითანამშრომლოს ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველებთან (როგორც ინდივიდებთან ასევე გუნდებთან), რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- მონაწილეები უნდა იყვნენ სულ მცირე 16 წლის ასაკის ღონისძიების გამართვის დროისთვის
- მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები
- ღონისძიების მონაწილეები თავისუფლად უნდა ფლობდნენ ქართულ ენას

დაინტერესებული პირები (და გუნდები) უნდა დარეგისტრირდნენ სითითონის ვებგვერდზე და მიუთითონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- გუნდის ყველა წევრის სახელი და გვარი
- გუნდის თითოეული წევრის საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილურის ნომერი)
- გუნდის სახელწოდება და ლოგო (არსებობის შემთხვევაში)
- დადასტურება, რომ ინდივიდუალური განმცხადებელი ან განმცხადებელი გუნდის ყველა წევრი აკმაყოფილებს ზემოთ განსაზღვრულ კრიტერიუმს (ასაკი, მოქალაქეობა, ენის ფლობა)
- ნებისმიერი წინა გამოცდილების ან მსგავს პროექტებში მონაწილეობის შესახებ მოკლე ინფორმაცია
- სითითონის წესებისა და რეგულაციების შესრულების მზადყოფნის დადასტურება
- გამოცდილების/ცოდნის სფერო(ები) (ტურიზმი, ლურჯი ეკონომიკა, ლოგისტიკა, მეწარმეობა, ინოვაციები ან სხვა)
- მოკლე სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის განმცხადებელი დაინტერესებული სითითონში მონაწილეობის მიღებითა და შემოთავაზებულ გამოწვევებზე მუშაობით

სითითონზე დარეგისტრირება სრულიად უსასყიდლოა.

სითითონში მონაწილეობის მოტივაცია შესაბამისობაში უნდა იყოს სითითონის მიზნებთან, თემასა და გამოწვევებთან.

თუ რეგისტრაციისას მითითებული ინფორმაცია იქნება არასრული და/ან არაზუსტი (მაშინაც კი, როდესაც ეს ეხება გუნდის მხოლოდ ერთ რომელიმე წევრს), მთლიანი გუნდი მოიხსნება ღონისძიებიდან. თითოეული გუნდის წევრი პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. გარდა ამისა, განმცხადებლები უპირობოდ უნდა დაეთანხმონ სითითონის ორგანიზატორების მიერ ღონისძიების ორგანიზების შესახებ მიღებულ ნებისმიერ და ყველა გადაწყვეტილებას.

სითითონის ჟიური იტოვებს უფლებას ღონისძიებიდან მოხსნას ნებისმიერი განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება ამ კონცეფციაში მითითებულ პირობებს.

მონაწილე გუნდების შემადგენლობა შეიძლება იყოს შერეული და აერთიანებდნენ სტუდენტებს, მოსწავლეებს, მკვლევრებს, დეველოპერებს და მეწარმეებს. სითითონის მონაწილეს არ შეუძლია იყოს ერთ გუნდზე მეტის წევრი.

მონაწილეობისთვის შერჩეული გუნდის რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ხუთს.

სითითონში ინდივიდუალურ მონაწილეს ან გუნდს, მხოლოდ ერთი იდეის წარდგენის უფლება აქვს.

შერჩეულ მონაწილეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ თუ მათი ინტერესები იკვეთება. თუმცა, გუნდების წევრების საერთო რაოდენობა ამ შემთხვევაშიც ხუთს არ უნდა აჭარბებდეს.

სითითონის ორგანიზება

სითითონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა და გუნდებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია შესაბამის ბმულზე 2023 წლის 6 აპრილის 10:00 საათიდან 14 აპრილის 18:00 საათამდე. რეგისტრაციის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში განმცხადებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, მიიღებენ მონაწილის კანდიდატის სტატუსს.

შერჩევის პროცესი დაეფუძნება მონაწილეობის მსურველების მიერ წარდგენილ სამოტივაციო წერილს. შერჩევის პროცესი ხუთი დღის ვადაში დასრულდება და შერჩეული მონაწილეები მიწვეულები იქნებიან სითითონსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე არაუგვიანეს 19 აპრილის 18:00 საათისა.

სულ შეირჩევა 20 მონაწილე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ორდღიან სითითონსა და მასთან დაკავშირებულ საინფორმაციო ღონისძიებებში. მას შემდეგ, რაც მონაწილეს დაუდასტურდება სტატუსი, მას შეუძლია დაიწყოს მზადება სითითონისთვის. ღონისძიების დროს - განაცხადების შემუშავების პროცესში, მონაწილეებს დახმარებას გაუწევენ შერჩეული მენტორები.

პირველ მაისს, მოწვეული სპიკერები, ორგანიზატორები და მენტორები გამართავენ შესავალ სესიას, რომლის ფარგლებშიც ისინი ცოდნას გაუზიარებენ შერჩეულ მონაწილეებს. ამ ღონისძიების დროს მონაწილეები ასევე გაეცნობიან სითითონისვის შერჩეულ გამოწვევებს. 5 მაისს მონაწილეები მოინახულებენ ინსპირაციისა და ქალაქის შესახებ ცოდნის გაუმჯობესების მიზნით.

სითითონის ჩატარების ადგილამდე ტრანსპორტირებას გაცნობითი ვიზიტისას უზრუნველყოფენ ორგანიზატორები.

13 და 14 მაისს მონაწილეები დაესწრებიან ორდღიან სესიას მენტორებთან ერთად, რომლის დროსაც მენტორები შეაფასებენ მათ პროგრესს. მონაწილეებმა 14 მაისის 17:00 საათამდე უნდა დაასრულონ მუშაობა მათ მიერ შეთავაზებულ განაცხადებზე და გააკეთონ მისი პრეზენტაცია.

სითითონისთვის ორგანიზატორები უზრუნველყოფენ მონაწილეების ტრანსპორტირებას თბილისიდან და უკან. სითითონის მსვლელობისას მონაწილეებმა თავად უნდა მოაგვარონ დარჩენისა და ქალაქში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები.

სითითონის მსვლელობისას ორგანიზატორები უზრუნველყოფენ საკვებსა და გამაგრილებელ სასმელს მონაწილეთათვის.

აქტივობების დეტალური განრიგი ხელმისაწვდომია ფოთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე https://poti.gov.ge/.

მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადები არ უნდა ლახავდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და რეგულაციებს. ამ პირობის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ მონაწილეს.

სითითონის დასკვნით ეტაპზე გაიმართება ე.წ. ფიჩინგის სესია, რომლის დროსაც მონაწილეებს საშუალება მიეცემათ მაქსიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში წარუდგინონ საკუთარი განაცხადები როგორც ჟიურის, ასევე სამიზნე აუდიტორიას.

განაცხადებს განიხილავს ჟიური, ხოლო გამარჯვებულების გამოვლენის ცერემონია გაიმართება 14 მაისს, 20:30 საათზე.

მონაწილეები უნდა დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაში.

გამარჯვებულების გამოვლენის კრიტერიუმები

სითითონის ფარგლებში მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადების შეფასების კრიტერიუმები შედგენილია, ისე რომ დაადგინოს რამდენად აღწევს თითოეული განაცხადი სითითონის კონკრეტულ მიზნებს. შეფასდება ის განაცხადები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია 2023 წლის 5 ივნისამდე. ქულების მაქსიმუმი განისაზღვრება 100-ით. შემოთავაზებული განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- *რელევანტურობა/შესაბამისობა თემასთან - 10 ქულა:* შემოთავაზებული განაცხადი შესაბამისობაში უნდა იყოს სითითონის თემებთან. განაცხადები, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება შერჩეულ თემატიკას, მიიღებს ქულათა მაქსიმუმს.
- *პოტენციური ზეგავლენა - 20 ქულა:* შემოთავაზებულ გამოსავლებს უნდა ჰქონდეს ფოთზე პოზიტიური ზეგავლენის პოტენციალი, მაგალითად, სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური ზრდის, ეკოლოგიური მდგრადობის ხელშეწყობისა და სხვა მიმართულებით. გამოსავლები, რომლებსაც ყველაზე დიდი პოზიტიური ზეგავლენის მოხდენის პოტენციალი გააჩნიათ მიიღებს ქულათა მაქსიმუმს.
- *პრაქტიკულობა - 15 ქულა*: შემოთავაზებული გამოსავალი უნდა იყოს პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით. ის უნდა იყოს რეალისტური, პრაქტიკული და მიღწევადი დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში და ხელმისაწვდომი

რესურსების მეშვეობით. გამოსვლები, რომლებიც ყველაზე მეტად პრაქტიკულია, მიიღებს ქულათა მაქსიმუმს.

- *ინოვაციურობის ხარისხი - 20 ქულა:* შემოთავაზებული გამოსავალი უნდა იყოს ინოვაციური და კრეატიული. იგი უნდა გულისხმობდეს ახალი ტექნოლოგიების, მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებას ან გვთავაზობდეს ორიგინალურ გამოსავალს ქალაქის წინაშე მდგომი გამოწვევების გადაჭრისთვის. გამოსავლები, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, დაიმსახურებს ქულათა მაქსიმუმს.
- *მკაფიოობა და სისრულე – 15 ქულა*: შემოთავაზებული გამოსავალი ჰუნდა იყოს მკაფო და დეტალური. გამოსავალი, რომელიც არის კარგად ორგანიზებული, მოკლე, მკაფიო და გვთავაზობს განხორციელების ნათლად გაწერილ გეგმას, დაიმსახურებს ქულათა მაქსიმუმს.
- *კომერციალიზაციის/მასშტაბურობის პოტენციალი – 10 ქულა:* შემოთავაზებულ გამოსავალს უნდა ქონდეს კომერციალიზაციისა და მასშტაბურობის პოტენციალი, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს სხვა ტერიტორიებსა და ქალაქებში და გააჩნდეს ზრდისა და მომგებიანობის პოტენციალი.
- *პროტოტიპის ტექნიკური ხარისხი – 10 ქულა:* შემოთავაზებული განაცხადი უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და წარმოადგენდეს მაღალი ხარისხის პროტოტიპს. გამოსავალი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, შეფასდება ქულათა მაქსიმუმით.

თითოეული გამოსავალი შეფასდება ჟიურის მიერ ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების გათვალისწინებით და ქულების მინიჭებით. სულ გამოვლინდება მხოლოდ სამი გამარჯვებული. პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც შეფასდებიან უმაღლესი ქულებით.

გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება გამჭვირვალედ და სამართლიანად, განაცხადების ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ჟიურის წევრები ვალდებულები არიან თავიდან აიცილონ ინტერესთან კონფლიქტი და პრიორიტეტი მიანიჭონ იმ განაცხადებს, რომლებისაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი პოტენციალი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით.

გამარჯვებულთა გამოვლენა

სითითონის მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადები განიხილება ჟიურის მიერ, რომლებიც გამარჯვებულებს ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების საფუძველზე გამოავლენენ.

ჟიურის წევრები განაცხადებს შეაფასებენ ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით როგორიცაა შესაბამისობა თემასთან, პოტენციური ზეგავლენა, პრაქტიკულობა, ინოვაციების ხარისხი,

მკაფიოობა და სისრულე, კომერციალიზაციის/მასშტაბურობის პოტენციალი, პროტოტიპის ტექნიკური ხარისხი.

შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, ვებგვერდზე გამოქვეყნდება გამარჯვებულების ვინაობა. გამარჯვებულები მიიღებენ შესაბამის რესურსებსა და მხარდაჭერას განაცხადით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის.

მონაწილეები ვალდებულები არიან დაადასტურონ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული განაცხადები არ არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ან მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს.

პრიზები და ჯილდოები

დააჯილდოვდება ის განაცხადები, რომელიც ყველაზე უკეთ უპასუხებს სითითონისთვის შერჩეულ გამოწვევებსა და ღონისძიების ძირითად ამოცანებს.

პრიზის ოდენობა განისაზღვრება 5000 ლარით თითოეული გამარჯვებულისთვის. თანხის გადახდა მოხდება საბანკო გადარიცხვის გზით გამარჯვებული გუნდის საბანკო ანგარიშზე. საპრიზო თანხა დაექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

გამარჯვებულები თანხას მიიღებენ განაცხადით წარმოდგენილი წინადადების განხორციელების შემდეგ.